ბზობის ბრწყინვალე დღესასწაული აღინიშნა

ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ბზობის ბრწყინვალე დღესაწაულთან დაკავშირებით საზეიმო ლიტურგია ჩატარდა, რომელსა გურიაში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ურუშაძე მოადგილესთან ზაზა შოშიტაიშვილთან ერთად დაესწრო.

ღვთისმსახურება შემოქმედელმა მიტროპოლიტმა **მეუფე იოსებმა** სასულიერო პირებთან ერთად აღავლინა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 10 (10476) 30 აპრილი 2024 წ. ფასი 80 თეთრი.

მისამართი: ჭავჭავაძის ქ. №15

ძმები ჭანყვაძეების მარკეტი გილოცავთ ალბომის ბრწყინვალე ლოცსასწაულს!

ოზურგეთში საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ კონსტიტუციური კანონპროექტები განიხილა

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონპროექტების განხილვა გრძელდება. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილებები დღეს ოზურგეთში განიხილა.

როგორც რეგიონის მოსახლეობასთან შეხვედრისას პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** აღნიშნა, კონსტიტუციურ ცვლილებებს საზოგადოების დიდი მხარდაჭერა აქვს, რაც მათი მიღების საჭიროებაზე მიუთითებს.

— „მნიშვნელოვანია, რომ ოჯახურ ღირებულებებთან დაკავშირებული კონსტიტუციური ცვლილებები მოსახლეობასთან დეტალურად იყოს განხილული იმისთვის, რომ მათი მოსაზრებები გავიგოთ ამ საკითხებთან დაკავშირებით, მივიტანოთ პარლამენტამდე და ამის საფუძველზე პარლამენტმა მიიღოს გადაწყვეტილება“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე განმარტებით, კანონპროექტებით გათვალისწინებულია ისეთი საკითხების დარეგულირება, რომელიც ეხება ქორწინებას, შვილად აყვანას, ასევე სასწავლო პროგრამებს.

„მსგავსი კანონმდებლობა სხვა-დასხვა ქვეყანაში მიიღება. შარშან ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა შტატში 72 კანონია მიღებული, რომელიც ეხება განსაკუთრებით საგანმანათლებლო პროცესში ლგბტ პროპაგანდისგან დაცვას. ასე რომ, ეს გამოცდილება არის არა მხოლოდ საქართველოში კანონშემოქმედების მხრივ, არამედ სხვა ქვეყნებშიც“, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

მოსახლეობასთან შეხვედრისას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **მამუკა მდინარაძემ** განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებების დაცვაზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია ნებისმიერი ადამიანის უფლება იყოს დაცული.

„ტოლერანტობა და ადამიანის უფლებების დაცვა ქართველებს არ გვესწავლება, მაგრამ ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდას და თავს მოხვევას. ყველას აქვს უფლება, როგორც უნდა ისე იცხოვროს, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ განსხვავებული, არატრადიციული ცხოვრების წესის თავს მოხვევას ყველამ თავი უნდა დაანებოს“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მისივე თქმით, მართალია ქვეყანაში სხვა ბევრი გამოწვევა არსებობს, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდა ერთ-ერთი პრობლემა გახდა.

„ჩნდება რაღაც ახალი გამოწვევები, რომელსაც მყისიერად თუ არ მივუსწარით, მერე შეიძლება ვერ დაეწიო მისი გამოსწორების გზებს. დღეს საქართველოში ბავშვებს აჩვენებენ ანიმაციურ ფილმებს, სადაც ცენტრალური პათოსი ის არის, რომ თურმე ბედნიერი ამის გარეშე ვერ იქნები თუ ასეთი ცხოვრების წესით არ იცხოვრე, ეს წარმოუდგენელია.

გვ—5

სოფლის ცხოვრება

ბახვი ჰესი

კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ბესო მჟავანაძე: „მიხედეთ თქვენს საკარმიდამოს და საკარმიდამო მოგხედავთ თქვენ“

„ჯერ ვბარავ ნაკვეთს, შემდეგ ვაკეთებ კვალს, ყოველ 20 სანტიმეტრში ვათავსებ კარტოფილს პირდაპირ მიწაზე, მას თან ვურთავ ნაცარს, შემდეგ ვიღებ ბალახს და 60-70 სანტიმეტრზე ვადებ როგორც სიგრძეზე, ასევე, სიგანეზე. შემდეგ, მას არც გათხონა უნდა, არც მიწის შემოყრა, საერთოდ არაფერი, არც ბალახი ამოდის, მოსავლის აღების დროს არც ბარი მინდა და არც თოხი, მივალ, გავშლი ბალახს და როგორც „კრუხის“ ბუდეში არის კვერცხები ჩალაგებული, ასევე კარტოფილიც, ავაგროვებ და წამოვიღებ. დათესავ და მოდიხარ მხოლოდ მოსავლის აღებაზე, არც მორწყვა უნდა. კარტოფილის მოსავალი მაქვს იმდენი, რამდენიც ჩემს ოჯახს ყოფნის. უნიკალური მეთოდია, მგონი ბელარუსში გამოიყენებენ, თივაც არ არის აუცილებელი, შეგიძლიათ გვიმრაც გამოიყენოთ"

ბესო მჟავანაძე; გურული ფერმერი:

ლადო მენაბდე - „გურიის მოამბე"

ბატონი ბესო 75 წლის სპორტსმე-ნია, მოჭიდავე. მიუხედავად ასაკისა, (ის, შეიძლება ასე ითქვას, დღემდე აქტიური სპორტსმენია), სულ რამდენიმე დღეში, იგი ბელგიაში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატზე – ვეტერან მოჭიდავეთა შორის.

მსოფლიო ჩემპიონატი რეგულარულად იმართება, ბესო მჟავანაძე გასული ჩემპიონატის მეხუთე ადგილოსანია, აქედან გამომდინარე, მას, მიმდინარე ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მოპოვებული აქვს, რადგან წესების თანახმად პირველი ხუთეულის მოჭიდავეები ავტომატურად იღებენ მომავალ პირველობაში მონაწილეობის უფლებას.

ბესო მჟავანაძე ამჟამად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში (ოქროს მუხურო) - ცხოვრობს. ის ჰექტარზე მეტ ფართობს

ფლობს. ამ ფართობზე მას უამრავი კულტურა მოჰყავს, მაგრამ, გარდა პავლონიისა, კივისა, ციტრუსისა და თხილის პლანტაციისა, ყველა სხვა პროდუქციას, იქნება ეს ბოსტნეული, სოკო, სხვადასხვა ხილი, საკუთარი ოჯახის საჭიროებისამებრ იყენებს.

იმის ნაცვლად, რომ ბატონი ბესო მსოფლიო ჩემპიონატის წინ ვარჯიშით იყოს დაკავებული, ჩვენ ფერმერი სასხლავით ხელში, საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში დაგვხვდა.

„სოფელში არ დავბადებულვარ და გავზრდილვარ, მაგრამ ბოლო 15 წელია, აქ, ლიხაურში ვცხოვრობ. 2009 წელს მამა გარდამეცვალა. რომელიც აქ ცხოვრობდა. ვიყავი ქობულეთის გამგებელის მოადგილე, დავტოვე თანამდებობა, ქობულეთიც და მას მერე აქ ვცხოვრობ“ – ასე იწყებს „გურიის მოამბესთან“ საუბარს ლიხაურელი ფერმერი.

რედაქცია მას, „ბახვი ჰესის“ მიერ დაფინანსებული რუბრიკის – „სოფლის ცხოვრება-წარმატებული ფერმერები“ ფარგლებში, მის მშობლიურ სოფელში, მჟავანაძეების კარ-მიდამოში ეწვია.

რამდენიმე საათის განმავლობაში ვათვალიერებდით ჩვენ, მასპინძელთან ერთად, მის საკუთრებაში არსებული ათზე მეტ, პატარა-პატარა მეურნეობებს და ბატონი ბესოც დაუღალავად გვესაუბრებოდა თითოეულ კულტურაზე და მათ დადებით თვისებებზე:

„ალბათ, ინჟინერი რომ ვყოფილიყავი ან სხვა რომელიმე სპეციალობის წარმომადგენელი, ამ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი. აგრონომი ვარ და მშობლიურმა მიწამ მომიზიდა. აქ ცოტ-ცოტა ყველაფერია, რაც ოჯახისათვის მჭირდება, შემოსავალი ძირითადად, კივის, თხილის, ციტრუსისა და პავლონიას პლანტაციებიდან მაქვს. მაგალითად შარშან პავლონიის 12 ძირი გავყიდე. შემოსავალი კი, 3 200 ევრო მივიღე. თითო ძირი 6 წლის იყო. რაც შეეხება ციტრუსს, მთლიანად გადავედი „საადრიო“ მანდარინზე, რადგან ჩვეულებრივი, რომელიც ნოემბერში მოდის 40 თეთრად იყიდება, ეს ჯიში კი, შარშან ერთი კილოგრამი 2 ლარად ჩავაბარე. სხვებსაც ამას ვურჩევ. სხვადასხვა იშვიათი ჯიშები მაქვს, ავოკადოს ნაირსახეობა პაუ-პაუ, კენკროვანი არტიშოკი, ოკრა, პავია, ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას მევენახეობას ვაქცევ, გავაშენე ჩხავერისა და საკმიელას ვენახი. ვფიქრობ საკმიელა გურული ღვინოების ჩემპიონია“.

ბესო მჟავანაძის ფერმერულ მეურნეობაში რამდენიმე საინტერესო პროდუქციის მოყვანის უნიკალურ მეთოდს გადავაწყდით. ერთ-ერთი ასეთი კარტოფილის მოყვანის წესია.

„ჯერ ვბარავ ნაკვეთს, შემდეგ ვაკეთებ კვალს, ყოველ 20 სანტიმეტრში ვათავსებ კარტოფილს პირდაპირ მიწაზე, მას თან ვურთავ ნაცარს, შემდეგ ვიღებ ბალახს და 60-70 სანტიმეტრზე ვადებ როგორც სიგრძეზე, ასევე, სიგანეზე. შემდეგ, მას არც გათხონა უნდა, არც მიწის შემოყრა, საერთოდ არაფერი, არც ბალახი ამოდის, მოსავლის აღების დროს არც ბარი მინდა და არც თოხი, მივალ, გავშლი ბალახს და როგორც „კრუხის“ ბუდეში არის კვერცხები ჩალა-გებული, ასევე კარტოფილიც, ავაგროვებ და წამოვიღებ. დათესავ და მოდიხარ მხოლოდ მოსავლის აღებაზე, არც მორწყვა უნდა. კარტოფილის მოსავალი მაქვს იმდენი, რამდენიც ჩემს ოჯახს ყოფნის. უნიკალური მეთოდია, მგონი ბელარუსში გამოიყენებენ, თივაც არ არის აუცილებელი, შეგიძლიათ გვიმრაც გამოიყენოთ ამ მეთოდით კარტოფილის მოსაყვანად. მზად ვარ ნებისმიერ მსურველს გავუზიარო ეს გამოცდილება. დაზოგავენ ენერგიას, თანხას, მოსავა-ლი კი უფრო მეტი იქნება. ყველა ეს პროდუქცია არის ნატურალური, მე სოფლის მეურნეობის პროდუქტს ბაზარში არ ვყიდულობ“. აქ ბატონი ბესო გვანახებს ვაშლისა და მსხალის ხეებს, რომელიც წრეზე იზრდება, ისევე როგორც მაგალითად ცერცვი, მიყვება გარკვეულ სპეციალურ წნულს, როგორც მაგალითად ვენახი ან ლობიო და მსხმოიარობითაც გამოირჩევა.

აქვე ვნახულობთ ამერიკულ ფხალს „ქეილი“ რომელიც უნიკალურია ჯანმრთელობისათვის, სასათბურე მეურნეობას და ხის კონსტრუქციას, უფრო სწორად, გადაჭრილი ხეების, ჯირკვების კონსტრუქციას, რომელიც მიერთებულია სარწყავ სისტემაზე და როგორც მასპინძელი გვეუბნება და გვისხნის, ეს სოკოს მოყვანისთვის გამოიყენება. კონსტრუქციას, რომელიც სულ რაღაც 5 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობს იკავებს, დიდი რაოდენობით სოკოს წარმოება შეუძლია.

„მე რომ დავწვები ღამით, გეგმებს ვაწყობ უკვე დილიდან რა საქმე გავაკეთო, ცოტაოდენი შრომა და ნებისმიერ ჩვენთან, გურიაში, მცხოვრებ ოჯახს შეუძლია შექმნას დიდი ან პატარა მეურნეობები, იმისათვის, რომ ოჯახის რჩენა შეძლოს და შემოსავლების პრობლემა არ ჰქონდეს. არ მინდა სხვანაირად გამიგოთ, მაგრამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან მირეკავენ რჩევისათვის, ნებისმიერ დროს მზად ვარ ჩემი გამოცდილების გაზიარებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენ-თან შრომისადმი პატივისცემა და მიდრეკილება გაქრა, აი მაგალითად წაბლი, ნაკლებ შრომას მოითხოვს, შემოსავლიანია, „საადრიო“ მანდარინი, უამრავი რამ, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ფინანსური თვალსაზრისით“.

მასპინძლის დაჟინებული თხოვნით შევდივართ ოჯახის მარანში და პირველი ვაგემოვნებთ აღმოსავლურ „თავკვერს“.

სოფლის მოსახლეობას, თუ კადნიერებაში არ ჩამითვლით მინდა ვურჩიო: ჩემო საყვარელო გურულო გლეხებო, მიხედეთ თქვენს საკარმიდამოს და საკარმიდამო მოგხედავთ თქვენ“.

ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს მე და ბატონი ბესო, რომელსაც პირველ რიგში წარმატებას ვუსურვებ ბელგიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე, შემდეგ ჯანმრთელობას და მრავალი წლები საკუთარ საკარმიდამოში ფუსფუსს.

წარმატებული ბიზნესმენები გურიიდან – მაგალითი როგორ დავძლიოთ სიღარიბე

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სოფლის ცხოვრება

ბახვი ჰესი

კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

„სტუმარ-მასპინძლობა ჩვენი იდენტობის უნიკალური ნიშაა, თავდაუზოგავი შრომითა და კარგი განათლებით გამოხატული“

ტურისტული ობიექტი „სამზეურა“, როგორც გარეგნული, ისე შინაარსის ყველა ნიშნით, კარგად გამოხატული ბუნებრიობით წარმოდგენილი გურული სახლ-კარი და კარმიდამოა.

–„სამზეურა“ – შინაარსით გამოხატული ქართული სიტყვის შინაარსი, ჩემთვის იმთავითვე იქცა შთაგონების წყაროდ. ზოგადად, მზის კულტი ქართულ მითოლოგიაში განსაკუთრებული ხარისხით, სიღრმისეული ხასიათით არის წარმოდგენილი, როგორც მიწასთან და შრომასთან კავშირის ურღვევი ხაზი. მე ასე ვთვლი – ათეული წლების მანძილზე, მზისა და მიწის წყალობით შედგა ჩემში წარმატებული მეურნე. სახელწოდება ზუსტად ესადაგება ჩემს ტურისტულ ბიზნესს. სამზეურაზე, მზით ყოველი მხრიდან განათებულ მაღლობზე მდებარე ჩემს კარმიდამოში დგას გურული ყაიდის , წაბლის ხის ძველი ოდა-სახლი, ბეღელი, ნალია, 150 წლის „ქუხნა“. აქ, არსებული შემეცნებითი გარემოს შესასწავლად, საოჯახო ამბების გასაგებად, ტრადიციული კერძების თანხლებით, უკვე სამი წელია ვავითარებ ჩემს მცირე ბიზნესს. თუმცა, ამ ყველაფერს წინ უძღოდა 90-იანი წლებიდან დაწყებული თავდაუზოგავი შრომა.

მარინა ჩიხლაძე, ტურისტული ობიექტის „სამზეურას“ დამფუძნებელი



ნუგზარ ასათიანი - „ალიონი“

– რას ნიშნავს თქვენთვის იდენტობა და რა ადგილი უკავია გურული ხალხის ფენომენს თქვენს ოჯახურ ბიზნესში?

– ჩემი მისიაა ჩემთან მოსულ სტუმარს, ჩემი ოჯახის მაგალითზე, დავანახო და გავაცნო გურული ხალხის ფენომენი - რა ფიზიკური, გონებრივი, შემოქმედებითი უნარები, ნიჭი და მოტივაცია აქვს მას; როგორ იქმნებოდა და ვითარდებოდა გურული სამზარეულო, მუსიკალური, შრომითი თუ ყოფითი კულტურა. ვთვლი, რომ ეს საინტერესოა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის.

რომ ვთქვა, რომ თავშივე მქონდა ჩანაფიქრი, ამ მიმართულებით ბიზნესისთვის მომეკიდა ხელი, მსგავსი არაფერი ყოფილა. შინაგანად შრომისა და ზოგადად განათლების სიყვარული, სამკუთხის სამზარეულო კულტურის კარგად შერწყმა, შემდეგ წარმოჩენა.სტუმარ-მასპინძლობა ხომ ჩვენი იდენტობის უნიკალური ნიშაა, თავდაუზოგავ შრომითა და კარგი განათლებით გამოხატული.

– რა მიგაჩნიათ, რა არის კიდევ საჭირო თქვენი ბიზნესის განვითარებისათვის, რა როლს ასრულებს ამ საქმეში დონორი ორგანიზაციები?

– ძალიან დიდი და მრავალწლიანი გაუსაძლისი შრომის შემდეგ, რასაც კიდევ უფრო მეტი სიმძიმე, თუმცა დიდი გამოცდილება შესძინა ე.წ. „დაბნელებულმა წლებმა“, ჩემთვის საუკეთესო შედეგიც დადო – შეგროვდა, მოგროვდა დიდი გამოცდილება და ცოდნა. ამ ყველაფერმა კი რამდენიმე კონკურსში გამარჯვებამდე მიმიყვანა. დიდია როლი დონორი ორგანიზაციებისა, რომლების ჩვენს საშშობლოს, ჩვენს ხალხს ამ ძნელბედობის ჟამს დახმარების ხელს უწვდიან. მივიღე მცირე გრანტები საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. ასევე გავიმარჯვე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, (თანადაფინანსება დონორი ორგანიზაციისგან მოხდა) დამწყებ, მცირე მეწარმეთა ოჯახების გასაძლიერებლად.

– რას ნიშნავს თქვენთვის იდენტობა და რა ადგილი უკავია გურული ხალხის ფენომენს თქვენს ოჯახურ ბიზნესში?

– ჩემი მისიაა ჩემთან მოსულ სტუმარს, ჩემი ოჯახის მაგალითზე, დავანახო და გავაცნო გურული ხალხის ფენომენი - რა ფიზიკური, გონებრივი, შემოქმედებითი უნარები, ნიჭი და მოტივაცია აქვს მას; როგორ იქმნებოდა და ვითარდებოდა გურული სამზარეულო, მუსიკალური, შრომითი თუ ყოფითი კულტურა. ვთვლი, რომ ეს საინტერესოა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის.

რომ ვთქვა, რომ თავშივე მქონდა ჩანაფიქრი, ამ მიმართულებით ბიზნესისთვის მომეკიდა ხელი, მსგავსი არაფერი ყოფილა. შინაგანად შრომისა და ზოგადად განათლების სიყვარული, სამზარეულო კულტურის კარგი ცოდნა ბავშვობიდანვე განაპირობა ჩემმა, ასე ვთქვათ, შინაგანმა იდუმალმა ინტერესმა, მრავალმხრივმა უნარებმა, ოჯახმა იმერეთში, სადაც დავიბადე და გავიზარდე. შემდეგ სტუდენტობისდროინდელმა ცხოვრებამ, სწავლასთან ერთად, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში როგორც კი აღმოვჩნდებოდი, სასწრაფოდ ვიწერდი, ვუსმენდი,ვიზეპირებდი და ვაკვირდებოდი სამზარეულო საიდუმლოებებს, ხალხური რეწვის მიმართულებებს,ჩვენი უძირო პოეტური თუ მუსიკალური ფოლკლორის მარგალიტებს. დაქორწინების შემდეგ კი, გურიაში ბუნებრივად მოხდა ამ ორი მაღალი დონის სივრცის, ასევე სხვადასხვა ტიპის მასტერკლასებისა თუ მცირე დეგუსტაციებისთვის ჩასატარებლად შესაფერისი გარემოს მოწყობა. რამდენიმე საათიანი გასტრო, აგრო, შემოქმედებითი, შემეცნებითი ტურების მასპინძლობა ჩემი დასახული მიზნის ამოსავალი წერტილია და მსურს, ის მაღალ ხარისხში წარმოადგინო.არც ისე შორეული მომავლისთვის ვგეგმავ, ჩემთან მოსულ სტუმარს უკვე ჰქონდეს რამდენიმე დღით დარჩენის, დამისთვის საშუალება, რათა დაისვენოს და სრულად ჩაერთოს გურულ საოჯახო, სამეურნეო და შემოქმედებით ყოფა-ცხოვრებაში.

დღეისთვის კი ტურისტებს ვიღებ მხოლოდ სადილზე. ვუმზადებ სადილს, ძირითადად გურული სამზარეულოს აქტივიდან. ვთავაზობ მათ მრავალნარი მასტერკლასებს, ვათვალიერებინებ გურულ უძველეს „ქუხნაში“ განთავსებულ ეთნომუზეუმს, სადაც უამრავი დასახელების ასწლოვანი საყოფაცხოვრებო ნივთები მაქვს გამოფენილი, თავისი ისტორიითა და შინაარსით.

მაგალითად, ვახდენ მათ სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობაში ჩართვას, ჩემს საკარმიდამო მეურნეობაში. (გაზაფხულზე აგროსაქმიანობის პროცესში – თესვა, ჩითილების გადარგვა, მულჩების მომზადება, ჩაის კრეფა და დამზადება. ზაფხულში ხილის, თხილის კრეფა...შემოდგომაზე მოსავლის აღება...) ვასწავლი მაკრამეს, ქარგვის და ქსოვის ხელოვნებას. ვასწავლი ხალხურ საკრა-ვებზე დაკვრას. (ფანდური, ჩონგური...). რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სურვილის შემთხვევაში ხდება. ძირითადად კი, როგორც აღვნიშნე, სტუმარ-მასპინძლობის სერვისია მთავარი მიმართულება. სუფრ-ასთან ძირითადად მიმაქვს საკუთარ ოჯა-ხში მიღებული აგროპროდუქტი, რაც დიდი მოწონებით სარგებლობს.

ბოლო დროს, განსაკუთრებით დაინტერესებული ვარ ჰერმაკულტურით. ზოგადად კი, უფრო პრიმიტიული ფორმით, წლების მანძილზე ვცდილობ, განვავითაროს. მიზანი ამისა არის, მივიღო ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტი და ჩემთან მოსულს ტურისტს ხილულად ვაჩვენო ეს პროცესი და მივართვა ამ პროდუქტით მომზადებული კერძები.

– თქვენ წარმატებული ჟურნალისტი ხართ, ასევე წარმატებით ეწევით სამეურნეო საქმიანობას, ..

–პარალეურად, როგორც პროფესიით ჟურნალისტი, ვარ და ვმუშაობ აქტიურ ჟურნალისტიკაში. მონაწილეობა მაქვს მიღებული უამრავ, სხვადასხვა სახის ტრენინგში (მედიამენეჯერის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, საარჩევნო, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თემაზე) და მიღებული მაქვს შესაბამისი სერთიფკატები.

ასევე ვარ მრავალი კონკურსის გამარჯვებული. 2011-13 წლებში ზედიზედ გავიმარჯვე ბიოენერგიის (ბიოგაზის) თემაზე გამოცხადებულ კონკურსში, საქართველოს მასშტაბით და დავიკავე პირველი ადგილი. ბოლო წლებში, ორჯერ გვიმარჯვე ევროკავშირის დაფინანსებით გამოცხადებულ მედიაკონკურსში, კოვიდის თემაზე და მივიღე, როგორც სერთიფიკატები, ასევე ფულადი ჯილდოები.

ვეწევი, მრავალმხრივ და საკმოდ მოცულობით სამეურნეო საქმიანობას.

მაქვს თხილის პლანტაცია. კაკლოვანების, კენკროვანების, ხეხილოვანების ბაღი, ჩაის, ვაზის, ციტრუსების პლანტაცია, ბოსტანი, თითქმის ყველანაირი აგროკულტურა მომყავს. გვყავს შინაური ცხოველები და ფრინველი, სიმინდის საყანე ფართობი, რომელსაც ყოველ წელს ვამუშავებთ.

როგორც აღვნიშნე, მრავლმხრივი უნარების მქონე ადამიანი: ვქარგავ, ვქსოვ, ვკერავ, ვმღერი, ვფლობ ხალხურ საკრავებს, ვამზადებ გურულ ტრადიციულ კერძებს ეს ყველაფერი გასტრო და აგრო ტურიზმის ნიშის დაკავების საშუალებას მაძლევს რეგიონის სივრცეში. სტუმრებს ვუმასპინძლდები ჩემი საოჯახო პროდუქტებით დამზადებული კერძებით. ვაცნობ ფოლკლორს, ვასწავლი ტრადიციულ საკრავებზე დაკვრას, ვაცნობ საოჯახო ეთნო მუზეუმს, ჩემს ნაქარგებს, შეკერილს, მოხატულს თუ ნაქსოვს... ვცდილობ, ზუსტად დაინახონ ერთ კონტექსტში მოქცეული გურული ხალხის(ზოგადად, ქართველი ხალხის) ფენომენი. მე ვყიდი ჩემს იდენტობას, კულტურას, ყველაფერ ტრადიციულს... მაქსიმალურად სრულფასოვნად მიწოდებულს.

ჩემი ბიზნესის საოპერაციო პროცესისთვის, ძირითად პროდუქტს ჩემს საკარმიდამო ნაკვეთზე ვიღებ. გურული და ზოგადად ჩემი ოჯახის ტრადიციული რეცეპტებით ვამზადებ სხვადასხვა სახის საკვებს, რომლითაც ვუმასპინძლდები სტუმრებს. შეკვეთილი მასტერკლასების მიხედვით, სტუმრებს ვრთავ საკვების მომზადებაში და პარალელურად სანამ საჭმელი დამზადდება, ვუტარებ სხვა მასტერკლასებს. ვათვალიერებინებ ჩვენს გარემოს – ბეღელს, ნალიას, სახლს... ხოლო სადილობის პერიოდში სიმღერის და საკრავების გაცნობით დაინტერესებას ვცდილობ.

– თქვენ ბახვი ჰესის დოციალურ პროექტებში მონაწილეობთ, როგორიცაა „ჩაის გზა“ და ა.შ

– ამ გზაზე ჩემთვის უდიდესი თანადგომაა კომპანია „ბახვი ჰესის“ ჟესტი, რომელიც რეგიონში ჯერ არნახული სოციალური პროგრამებით შემოვიდა და საკუთარი საქმის მაღალ პროფესიულ დონეზე კეთებასთან ერთად, რეგიონის მოსახლეობის დასახმარებლად, აქტიური ადამიანების პოპულარიზაციისთვის ეფექტური ნაბიჯები გადადგა. დიდია ჩემი მადლიერება მათ მიმართ, როგორც ჩემთვის, ასევე მთლიანად რეგიონის დასახმარებლად და მისი პოპულარიზაციისთვის.

დღეისთვის ასევე უდიდესი ხელის გამოწვდენაა ევროკავშირისგან დახმარება გურიის რეგიონისთვის, სადაც ხორციელდება მასშტაბური პროექტი „მწვანე გურია“. შექმნილია რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც თითეულ მეურნეს, მცირე მეწარმეს, გამოცდილს თუ ახალგაზრდას, ყველა თაობის ადამიანს გვაძლევს სერიოზულ შანსს, კიდევ ერთხელ გავიმარჯვოთ და ვაკეთოთ საყვარელი საქმე, მივყვეთ სწორ მიმართულებას გზას, რომელიც უსათუოდ მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე, შევქმნათ ძლიერი და ეკონომიკურად მდიდარი ქვეყანა.

გილოცავთ მაცხოვრის აღდგო-მის ბრწყინვალე დღესასწაულს! უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს თითოეული თქვენგანის ოჯახს და სრულიად საქართველოს!

ლავრენტი ბიგვავა.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! გვწყალობდეს უფალი. აღდგომის მადლი და ძალა გფარავდეთ. გისურვებთ რწმენის სიძლიერესა და სულიერ სიმტკიცეს გისურვებთ.

ვასილ ჩიგოგიძე,
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

გილოცავთ ყველა მართლამდიდებელ ქრისტიანს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებისა და სულიერი ამაღლების დღეს!

გელა აროშიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ ჩემო ოზურგეთელებო! მშვიდობას, ჯანმრთელობას, სიკეთეს და რწმენაში გაძლიერებას გისურვებთ!

ლელა შარაძენიძე
ოზურგეთის სამუსიკო სკოლის დირექტორი

გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულს! ღვთის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ!

ბექა თოიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს გურულებს! გისურვებთ სულიერ სიძლიერეს, უფლის წყალობას!

პაატა კილურაძე
ოზურგეთის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ყველა მართლმადიდებელს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და სულიერ ამაღლებას!
მრავა აღდგომას დაესწარით!

დავით ჭაკნელიძე
საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ჩემო ცხემლისხიდელებო, ვაკიჯვრელებო და მთისპირელებო. არ მოგკლებოდეთ უფლის მადლი და წყალობა.

ბაჩანა ნიჭარაძე
სოფ. ცხემლისხიდის, ვაკიჯვარისა და მთისპირის მაჟორიტარი დეპუტატი

ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრი გილოცავთ დამდეგ აღდგომის დღესასწაულს!

ოზურგეთის ღია პირველობაზე ჩოგბურთში დასრულდა

ოზურგეთის მოსწავლეთა ღია პირველობა ჩოგბურთში დასრულდა. გამარჯვებულები გამოვლინდნენ და ისინი ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების უფროსმა **კობა ბალავინოვმა** შესაბამისი სინჯის მედლებით, თასებით და სიგელებით დააჯილდოვა.

–წელს პირველად ჩავატარეთ ოზურგეთის მოსწავლეთა ღია პირველობა ჩოგბურში მოსწავლეთა შორის 5 ასაკობრივ ჯგუფში. ტურნირი 12 დღე გაგრძელდა და მასში 40 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა –გვითხრა მწვრთნელმა **დავით თავართქილაძემ** და მანვე გამარჯვებულები დაგვისახელა:

5-8 წლის ასაკში **მარიამ კოპალიანმა** ფინალურ მატჩში მართა ჭელიძე დაამარცხა:

შერეულ წყვილში **ნინა გოგიაშვილმა** – ლუკა ჩავლეშვილი;

10-12 წლის ასაკშიც **ნინა გოგიაშვილმა** გაიმარჯვა. მან ფინალში ქრისტინე სალუქვაძეს სძლია;

14-16 წლის ჩოგბურთელებს შორის **ანასტასია ნემსაძემ** თამარ რუსიეშვილი დაამარცხა.

დავით თავართქილაძის თქმით გამარჯვებული სპორტსმენები ბათუმში, აჭარის ღია პირველობაზე მიიღებენ მონაწილეობას. ეს ტურნირი 8-13 მაისს გაიმართება.

ჩოგბურთელები ტურნირისთვის დავით თავართქილაძის გარდა გივი სიამაშვილმა და მამუკა კილაძემ მოამზადეს.

დავით თავართქილაძე მარტის დასაწყისიდან ერთი თვე ეგვიპტეში, შარმ-ელ შეიხში იმყოფებოდა, სადაც იგი ერთ-ერთი რეიტინგული ქართველი ჩოგბურთელის სერგო სიხარულიძის მწვრთნელად იყო.

დავით თავართქილაძის თქმით, მისმა შეგირდმა იქ 4-ჩელენჯერ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 2-ჯერ ძირითად ძალებში გავიდა.

საგანმანათლებლო მოგზაურობა თემში

ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღი (მენეჯერი მ. ღლონტი, მეთოდისტი ნ. გრძელიძე) საგანმანათლებლო თემის რესურს იყენებს უშუალოდ სასწავლო პროცესში. ამიტომაც 4-5 წლის და სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელებმა (ლ. ქათამაძე, ნ.ქერქაძე, ნ.გოგუაძე, მ.შილაკაძე) დაგეგმეს ექსკურსია თემში, სადაც აღსაზრდელები გაეცნენ ბუნებას, ახალ აშენებულ სპორტულ მოედანს, სოფლის დამაკავშირებელ ხიდს მდინარე ბჟუჟზე.

მშობლებთან ერთად აღსაზდელებმა სასიამოვნო დღე გაატარეს. ჩაერთნენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, სადაც ისინი ხალისობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ. თამაში ხომ მათთვის სასიამოვნო განცდებთან არის დაკავშირებული. მოეწყო სპორტული შეჯიბრებები ფეხბურში, ველოსპორტში და ბოლოს მოაწყვეს ბუნებაში „პიკნიკი.“

აღსაზრდელები კმაყოფილნი დარჩნენ. ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ნანა კეკელიძე.

ოზურგეთელი მხატვრების შემოქმედებითი მივლინება პარიზში

საფრანგეთში, საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, ქართველ მხატვართა ჯგუფი იმყოფებოდა, რომელთა შორის ოზურგეთელი მხატვრებიც იყვნენ. ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი ავთანდილ თავართქილაძე ესაუბრა:

–1921-1924 წლებში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში საქართველოდან გაგზავნილი იყვნენ ახალგაზრდა მხატვრები: ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, ვერა ფაღავა, შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე და სხვები, რომელთა ნამუშევრების გამოფენა პირველი შემთხვევა იყო ქართველი ხელოვანების წარმოჩენისა ევროპაში. ამ ჯგუფის საფრანგეთში მოღვაწეობამ, მათი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდად შეუწყო ხელი ქართული მხატვრობის განვითარებას. ისინი წარმატებული მხატვრები აღმოჩნდნენ, რომელთა შემოქმედება დღეს ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის.

აღნიშნული მოვლენის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „მხატვართა სახლის“ თავმჯდომარის ია არსენიშვილის მიერ განხორციელდა საინტერესო პროექტი, რომ მოწყობილიყო ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენის კვირეული პარიზში, რომელსაც მხარი დაუჭირეს თბილისის სამხატვრო აკადემიამ და საქართველოს მხატვართა კავშირმა.

ამ კარგ საქმეში დიდი გახლდათ საქართველოს საელჩოს ძალისხმევა საფრანგეთში და კოორდინატორების მზექალა ბერძენიშვილისა და საფ-რანგეთში მოღვაწე ტატა ვალმოს მეცადინეობით საფრანგეთში მიწვეული



იქნა ქართველ მხატვართა 30-კაციანი ჯგუფი.

–ავთანდილ, უფრო კონკრეტულად, თქვენი ჯგუფი რა მისიით იყო მიწვეული საფრანგეთში?

– ეს მიწვევა განხორციელდა მუზეუმებისა და გალერეების განვითარების, მათი ინტეგრაციის, გამოცდილებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაზიარების მიზნით, სადაც მონაწილეობა მივიღეთ დაგეგმილ გამოფენებში. ჩვენი რეკომენდაციით, შემოქმედებითი ნიჭისა და ღირებულებების მიხედვით შეირჩა რამდენიმე მხატვარი: საფრანგეთში იმყოფებოდნენ გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის თავჯდომარე თამაზ დარჩია, მხატვარი ირაკლი თოიძე, ბათუმიდან ლუკა ბესელია და თავად ავთანდილ თავართქილაძე.

– რომელ გალერეაში გაიმართა ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენები და რა მნიშვნელობას ანიჭებთ მას?

– ქართველი მხატვრების ნამუშევრები გამოიფინა ლუვრის საგამოფენო დარბაზ „ლუვრ კარუსელუ“-ში, შემდეგ მეორე გამოფენა გაიმართა გალერეა BDMS-ში (Beaute du Matin Calme). გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი საფრანგეთში ბატონი გოჩა ჯავახიშვილი, ასევე ყოფილი ელჩი და საფრანგეთში მცხოვრები ქართველები. ზოგადად საგამოფენო დარბაზები სავსე იყო ქართველი მხატვრობით დაინტერესებული კოლექციონერებით და სახვითი ხელოვნების მოყვარული საზოგადოებით. გაიყიდა რამდენიმე ნამუშევარი. სხვადასხვა გალერეების მესვეურები დაინტერესდნენ ქართული კულტურის ამ უნიკალური დარგის მიმართ.

პროექტის ფარგლებში მოეწყო პლენერები ქ. პარიზში. მთლიანობაში ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო ავტორებისთვის, როგორც პროფესიული ურთიერთობისთვის, ასევე ატარებს კულტურული პოლიტიკის ისტორიულ მომენტს, რაც ახალ სიმაღლეზე აყენებს ჩვენი ქვეყნის ინტერესს კულტურის ამ დარგის მიმართ. იძლევა უშუალო შესაძლებლობებს ჩვენი ქალაქის სახვითი ხელოვნების ცენტრისათვის, რათა მან შეძლოს უკვე ევროპაში მოახდინოს თანამშრომლობა სხვადასხვა ცენტრებთან საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის და უნარების თვითრეალიზაცია.

გარდა ზემოთქმულისა, საფრანგეთში შექმნილი ქართველი მხატვრების ნამუშევრები გამოიფინება ქ. თბილისში და გამოიცემა კატალოგი.

–წარმატებებს გისურვებთ!

ესაუბრა
ნუგზარ ასათიანი

ოზურგეთში საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ კონსტიტუციური კანონპროექტები განიხილა

ჩვენ, საკონსტიტუციო უმრავლესობა ახლა არ გვაქვს, ამიტომ რადიკალურ ოპონენტებს ან მოუწევთ მხარი დაგვიჭირონ, ან არჩევნებზე მივიღებთ საკონსტიტუციო უმრავლესობას და ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით ბევრ ცვლილებას შევიტანთ თუ ამის საჭიროება იქნება“, – განაცხადა **მამუკა მდინარაძემ.**

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ასევე ისაუბრეს საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა: **დავით მათიკაშვილმა, სოზარ სუბარმა, ფრიდონ ინჯიამ, შალვა კერესელიძემ.**

კონსტიტუციური კანონპროექტით საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი: **„ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“.**

ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებული ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, კონსტიტუციური კანონის პროექტით განისაზღვრება ქორწინებასთან, არასრულწლოვანის შვილად აყვანასა და მინდობით აღზრდასთან, ადამიანის სქესის შესაცვლელად სამედიცინო ჩარევის განხორციელებასთან, ოფიციალურ დოკუმენტში სქესის მითითებასთან, სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებასთან, შეკრებასა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი

ეს

„ენერგო პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

„გემოვანმა“ მონაწილეებს 7 წლის მსხმოიარე ვენახი საკუთრებაში გადასცა

„გემოვანმა“ პროექტის მონაწილეებს 7 წლის მსხმოიარე ვენახი საკუთრებაში გადასცა. ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ინფორმაცია „გემოვანის“ დამფუძნებელმა **ირაკლი ჩავლეშვილმა** განუცხადა:

–2016 წელს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში (ოქროსქედი) დაწყებულ ვაზის გაშენებას, სახელად „ლოლა“ ათეულობით ვენახი მოყვა არამარტო გურიაში, არამედ სამეგრელოშიც.

დავაგროვეთ უნიკალური ცოდნა, როგორც მევენახეობაში ასევე მეღვინეობაში.

*მივაგენით იშვიათი ჯიშებისთვის მომგებიან შეფუთვას და ესაა **100 მილი ლიტრი - ღვინის საკურნებელი დღიური ნორმა***

პროექტის დაწყებიდან მეცხრე წლის თავზე მონაწილე მევენახეებს საკუთრებაში გადავეცით 7 წლის მსხმოარე საუკეთესო ზვრები სოფელ ოქროსქედში.

*ესენია შემოქმედელი **ზურაბ ჩხარტიშვილი** და ოქროსქედელი **ზვიად ირემაძე.** –* გვითხრა ირაკლი ჩავლეშვილმა.

გელა ცელაძის გახსენება



გელა ბარნაბის ძე ცელაძე დაიბადა 1941 წლის 4 ოქტომბერს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში „საგუნდო სადირიჟოროს“ განხრით. სწავლის პერიოდში დირიჟორობდა სასწავლებლის გუნდს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩამოდის მშობლიურ რაიონში და მუშაობას იწყებს № 2, 3, და 4 საშუალო სკოლებში ბავშვთა გუნდების ხელმძღვანელად.

გელა ცელაძე ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი იყო და ეს მხედველობიდან არ გამორჩენია რაიონის ცნობილ ლოტბარებს – ვლადიმერ ერქომაიშვილს და მიხეილ შავიშვილს.

ოზურგეთის რაიონული კულტურის სახლის მომღერალთა გუნდში გელა ცელაძე ერთ-ერთ სოლისტად ითვლებოდა. ასევე გამორჩეული წევრი იყო ცნობილ სახალხო ანსამბლ „შვიდკაცას,“ სადაც მან სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწა.

1995 წელს გელა მიიწვიეს ქობულეთის №1 საშუალო სკოლაში გუნდის ხელმძღვანელად, ხოლო 2002 წელს იგი ინიშნება ქობულეთის კულტურის სახლის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელად.

გელა ცელაძემ თავისი ცხოვრება დაუკავშირა შესანიშნავ ქალბატონს – აზა წილოსანს. ისინი 1963 წელს შეუღლდნენ და შეეძინათ ქალ-ვაჟი. მე ძალიან ახლოს ვიყავი ამ ოჯახთან და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მათი ოჯახი ერთ-ერთი შესანიშნავი ოჯახი გახლდათ ჩვენს სოფელში.

შინაარსიანად მიდიოდა ცხოვრების გზა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა შეცვალა ბედნიერება მწუხარებით. 2004 წლის 7 ნოემბერს გელა ცელაძე გარდაიცვალა.

იგი დაკრძალულია სოფელ მაკვანეთის ცენტრალურ სასაფლაოზე.

სინანულით ვიგონებ ჩემს უმცროსს მეგობარს და კოლეგას –გელა ცელაძეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს იგი.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი

ჩოხატაურში მონადირე ძაღლების გამოფენა გაიმართა

ჩოხატაურის ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მონადირე ძაღლების ყოველწლიური გამოფენა გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 10 ჯიშის 100 ძაღლი მონაწილეობდა.

ძაღლების გამოფენა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრისა და მონადირეთა ჯგუფ „ძამას“ ორგანიზებით ჩატარდა.

გამარჯვებულები მუნიციპალიტეტის მერიისგან თასებითა და სიმბოლური საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ლელო შუხუთში

ლელოს ლანჩხუთელ მოთამაშეთა გუნდი გამარჯვების შემდეგ ცხაკაიაში (სენაკი).

წინაპართა ტრადიციების გაგრძელების ნათელი მაგალითია სოფელ შუხუთში ლელოს თამაში. მას ამ სოფელში უძველესი დროიდან თამაშობენ. თამაშობდნენ ომის დროსაც, იმიტომ რომ ეს თამაში მარტო გართობა არ იყო. ამ თამაშში ჩანს ქართველი კაცის ბუნება, ლელოს გატანა თითოეული მოთამაშისთვის თვითმიზანი კი არ არის, არამედ ლტოლვა თავისუფლებისაკენ- საკუთარი ლელოს გატანისაკენ.

ლელოს ოდითგანვე გურიის ბევრ სოფელში თამაშობდნენ, მაგრამ დღეს მხოლოდ შუხუთშია ის შემორჩენილი.

ლელოს თავიდან თურმე აღდგომა დღეს თამაშობდნენ, შემდეგ კომუნისტებმა თამაშის აკრძალვა მოინდომეს, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მისი მივიწყება ხალხისთვის. მალულად კერავდნენ ბურთს და

მარცხნიდან ბესო დოლიძე და ვანო ფირცხალაიშვილი

ზუსტად 5 საათზე სოფლის ცენტრში ბურთი ვარდებოდა. კომუნისტების დროს, ლელოს 1 მაისს თამაშობდნენ. დემონსტრაციის შემდეგ შუხუთის ცენტრში თავს იყრიდა უამრავი ხალხი და თამაშიც იწყებოდა.

90-იანი წლებიდან კი ლელოს თამაში ისევ აღდგომა დღეს აღდგა. ამ დღეს სოფლის ცენტრში ლელო- ბურთს აგდებენ, სოფელი ორად იყოფა- ზემოურებად და ქვემოურებად, ადრე ცოლიანებად და უცოლოებად იყოფოდნენ. მოთამაშეთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის, ნებისმიერს შეუძლია ჩაებას თამაშში. თამაში მართლაც თავდაუზოგავია. ადრე თურმე მასში ქალებიც ერთვებოდნენ .

თამაშის ფინალი ანუ გამარჯვების საზღაური მუდამ ერთია. ორივე მხარე თავისთვის ჩაუთქვამს რომელიმე გარდაცვლილი ახალგაზრდა ადამიანის ან ფრიად საპატივცემულო პიროვნების საფლავზე ბურთის ატანას და შესანდობარის დალევას.

ლელოს თამაშს მხოლოდ ერთადერთი წესი აქვს: თუ ვინმე წაიქცა თამაშის დროს, თამაში ჩერდება. „წაქცეულს არ ურტყამენ“ იყო ყვირილი: „ გაშალეთ ბურთი! - ნუ იღლიტებით! არიქა დაიხჩვა კაცი, გეიშალეთ!“ ბრძოლის მიზანი იყო მოწინააღმდეგის მდინარის მეორე მხარეს გადაგდება. „ხშირად, რომ ბურთი მდინარეში ჩავარდებოდა, ბურთის თამაშით დამთვრალი, გაბრუებული მოთამაშეებიც წყალში ჩაყვინთავდნენ, აბა ღობეს ვინ ერიდებოდა – „ პინტრიშით“ გაჰქონდათ, ეზოს ზიანს აყენებდნენ, მაგრამ ზარალის ანაზღაურებას არავინ მოითხოვდა...“ ეთნოგრაფიული გურია, გვ.61

ლელოს თამაშს მრავალი ფილმი მიეძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ ლელოს შემობრუნება“, რომლის რეჟისორებია: ლერი სიხარულიძე, ირაკლი მახარაძე და პაატა ტაბაღუა. ეს ფილმი გასული საუკუნის 80–იან წლებში გადაიღეს და მან დიდი პოპულარიზაცია გაუწია ლელობურთს, უკვდავყო ეს თამაში და მისი მოთამაშეები.

გასულ წელს ირაკლი პაპავასა და ირაკლი ტრიპოლსკის რეჟისორობით გადაღებული იქნა დოკუმენტური ფილმი „ლელობურთის შთამომავლები“. ეს სრულმეტრაჟიანი ეთნო დოკუმენტური ფილმია, რომელიც გურული ლელობურთისა და „ყველიერის ფეხბურთის“ ანუ ლელოს ანალოგიური ბრიტანული თამაშის შესახებ მოგვითხრობს.

ევროპულ ოჯახამდე მიღწევის ერთ- ერთი გზა ჩვენი ცივილიზებულობის ხარისხია. ეს ფილმი პირდაპირ ამბობს, რომ ქართველი ერი მისი სპორტული წარსულით, და სპორტული წარსული მის სოციალურ წარსულს ნიშნავს, ძალიან ახლოსაა ცივილიზებული სამყაროს ყველაზე დადებით და მისაღებ ნაწილთან. ამით სამყაროს კარნახობ თუ როგორია ქართველი. რომ ქართველები და ინგლისელები ერთად ვვითარდებით. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს გასალახად და დასაბომბად სამყაროს დაენანები!“ ამბობს ფილმის წამყვანი ბატონი ნუგზარ რუხაძე.

ლელოს მოლოდინში ბურთის მკერავ შაქრო იმნაიშვილის ეზოში. მარცხნიდან მარჯვნივ: **ომარ მოქია, ვატული იმნაიშვილი, შაქრო იმნაიშვილი, ბაქარ ფირცხალაიშვილი, ვალერი სიხარულიძე, სბა ორაგველიძე და ვაკო იმნაიშვილი.**

ამ პროექტს აქვს ძლიერი მხარდაჭერა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს მხრიდან. იგეგმება ლანჩხუთისა და ინგლისის ქალაქ აშბორნისათვის დაძმობილებულ ქალაქების სტატუსის მინიჭება.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები ჩართული ვართ ამ პროექტში და ძალიან გვეამაყება, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ამ საშვილთაშვილო საქმეში.

ნონა იმნაძე,
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი

ლელოს შემობრუნების" გადამღები ჯგუფი შუხუთში.მარცხნიდან: **ლერი სიხარულიძე, რეზო ოდიშელიძე, ირაკლი მახარაძე, ირაკლი ბაკურაძე.** ზის **პაატა ტაბაღუა.**

ქუჩკბ საზოგადოება. ილია, გურულებთან და მათ გარეშე

(დიდი არალირიკული და აუცილებელი გადახვევა, არანაირ კავშირში რომ არ არის მთავარ თემასთან)



დიდი ხნის წინ, ვიქნებოდი მეოთხე თუ მეხუთე კლასში, ნინა მასწავლებელმა ილიას ბიოგრაფიას თხრობა დაახლოებით ასე დაამთავრა „მადლიერმა ქართველმა ხალხმა ილია ერის მამად შერაცხაო“.

სიმართლე გითხრა, ის გაკვეთილი, უდიდესი ალბათობით, როგორც ჩვეოდა საინტერესო გაკვეთილი არ მომისმენია, „ერის მამა“, არა როგორც შინაარსის, არამეთ სიტყვათა შეთანხმებით გახდა ჩემი ფიქრის საგანიცა და საზრუნავიც.

არ ვიცი, იქნებ ვცდები, იქნებ არც ვცდები, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს პირველი ან მეორე გაკვეთილი ეთმობოდა, იმხანად.

ჰოდა, ოთხმა თუ ხუთმა გაკვეთილი, დასვენებებიანად, სწორედ ასე ჩაიარა იმ დღეს.

ბედი არ გინდა, ცხობებული მამაჩემიც სწორედაც რომ იმ დღეს გვიან დაბრუნდა სახლში, ცოტა არ იყო ნასვამი და ზომაზე მეტად მხიარულიც. კლასელები შეხვედროდნენ ერთმანეთს შუა ბაზარში და მოელხინათ როგორც იცოდნენ, საფუძვლიანად.

დამავიწყდა მეთქვა, გორის თავში (ჭოლა ლომთათიძის ქუჩა თუ იცით, ოზურგეთში, მიხვდებით რა თავზეც ვსაუბრობ) შევხვდი მამას და ამას იმ დროს ვაკეთებდი კითხვა რომ მქონდა და უმამოდ რომ ვერ ვუპასუხებდი საკუთარი შესაძლებლობით.

„ერის მამა“ რაა, მამა?! – ვკითხე და რომ იტყვიან გავირინდე, ვინც მე იმხანად მიცნობდა, ვერც კი წარმოიდგენს სხეულისა და სულიც ამგვარ მდგომარეობას.

– არა, კი არა, ვინ – თქვა –ზუსტად ისე, როგორც იცოდა - ძალდაუტანებლად და მკაფიოდ. – ილია ჭავჭავაძე. პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი („ნეტა, რას თარგმნიდა?! -გავიფიქრე, და რატომღაც არაფერი ვთქვი... ახლაც მიკვირს, რატომ.). გაიზრდები და პუპლიცისტიკა წაიკითხე... ბევრია წასაკითხი და საფიქრალი...

არ ვიცი, იქნებ ახლაც ვცდები, იქნებ არც ვცდები, მაგრამ, რომ იტყვიან, ამ გადასახედიდან, მეჩვენება, რომ მამა მე კი არა, საკუთარ თავს ესაუბრებოდა... „ბევრია წასაკითხი და საფიქრალი“, რომ თქვა მას მერე...

სხვათაშორის იმხანად არც პროზა ვიცოდი რა იყო და მით უფრო, არც პუბლიცისტიკა.

გამიმარტა, აბა, რა ქნა...

დაუზარლად და გულდასმით...

დღეს, 2024-ის 31 მარტია.

მეტად მნიშვნელოვანი თარიღები საქართველოს არც თუ უახლეს და უახლეს ისტორიაში და დღეს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიაში ჩემ სტუმრობას და იქაურების დახვედრას რომ ვიხსენებდი არჩილ ჯორჯაძისა და ილია ურთიერთობასთან დაკავშირებული კითხვა გამახსენდა.

სიმართლე გითხრათ, დიდი არაფერი ვიცოდი მათი ურთიერთობის შესახებ, გარდა რამდენიმე ფაქტისა და ეს რამდენიმე ფაქტი „ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების“ მატიანეში“ ამოვიკითხე.

ეს იყო და ეს...

მეტი არაფრი...

თუმცა,... თავად არჩილ ჯორჯაძეზე ვიცოდი ბევრი...

და ეს „ბევრი“ - არჩილ-ბატონის „სოციალ-ფედერალისტობა“, „საერთო ნიადაგის თეორიის“ დამფუძნებლობა იყო...

კი ვიცი არცოდნა ცოდვა რომ არაა, მაგრამ... მჯერა, არცოდნის მერე არაფერს რომ არ გააკეთებ ცოდნის შესაძენად ის კია ცოდავა...

არის და... რომ იტყვიან, მივხედე საქმეს...

მთელი 10 დღე არჩილ ჯორჯაძის ხუთტომეული ვიკითხე... და არა მხოლოდ ვიკითხე - ეროვნული ბიბლიოთეკის მერაბ მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკისთვის შესაბამისად გავაციფრულე კიდეც!

კაი დამღლელი შრომა კი იყო, მაგრამ... ღირდა...

ჰოდა, ამ ცოდნის ერთი ნაწილის თქვენთვის გახსენება/გაცნობას ვაპირებ ახლა...

1901 წლის ივნისის თვიდან ვიწყებ...

სწორედ ამ წლის ამ თვიდან „არჩილ ჯორჯაძე ჟურნალ „მოამბეში“, აქვეყნებს ვრცელ სტატიას სათაურით „ძველი თაობა, ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“.

ვერ დაგიმალავთ – მამაჩემის ხსოვნას ვუძღვნი ამ წერილს...

სულ რამდენიმე დღეში 100 წლის გახდება მამა!

მშობლები რომ არც კვდებიან და არც გარდაიცვლებიან მეც ვიცი და თქვენც...

მერამდენედ ვამბობ და უკვე მერამდენედ არ მეპარება ეჭვი ნათქვამში!

მას ასე!

არჩილ ჯორჯაძეს ვრცელი სტატია „ძველი თაობა, ილია ჭავჭავაძე როგორც პუბლიცისტი“, ჟურნალ. „მოამბის“, 1901, განყ.II. 6, გვ. 61-74, 7, გვ. 43-60; 8, გვ. 28-40, 9, გვ. 55-70, 10, გვ. 77-80, გამოქვეყნდა, მაგრამ მე ის სულ სხვაგან (თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეორე: ჩვენი საზოგადოება“, ტფილისი. 1911). წავიკითხე.

დასაწყისით ვიწყებ!

კარგი დასაწყისია..

ზუსტად ისეთი, როგორც მთელი სტატია, რომლის წაკითხვას, თავიდან-ბოლომდე წაკითხვას გირჩევთ.დრო მოვა და ავტვირტავ მასაც სათანადო ადგილას.

„პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე

როდესაც წარსული ცხოვრების გაგება-დაფასების სურვილი იბადება ხოლმე საზოგადოებაში, ეს იმის ნიშანია, რომ ამ საზოგადოებას თავის თავის დანახვა და გარკვევა მოუნდომებია, რადგან აწმყო შედეგია წარსულისა. როცა ჩვენ ნათლად გავიგებთ იმას, თუ რითიცა ვართ დაკავშირებულნი ძველ თაობასთან, რა გვაქვს მასთან საერთო და რა არა, მაშინ, და მხოლოდ მაშინ, შევიგნებთ იმას, რა გზით უნდა ვიაროთ მომავალში, დავინახავთ ჩვენს საკუთარ პიროვნებას, გამოჩნდება ახალი თაობის ცხოვრების ახალი პროგრამა. ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ „დასებზე“ „პარტიებზე“, ლაპარაკობენ აგრეთვე ძველ და ახალ თაობაზე, მხოლოდ ამ საგნებზე ლაპარაკისათვის ჩვენ არა გვაქვს ერთად ერთი აუცილებელი საჭირო იარაღი – ჩვენ არა გვაქვს იმისი ცოდნა, რაზედაც ჩვენა ვსჯით, არა გვაქვს შესწავლილი ძველი თაობის ვინაობა, მისი აზრი, გრძნობა, ლტოლვილება, მისი იდეალი. ჩვენს ლიტერატურაში ჯერ ჯერობით არ გამორკვეულა ქართულ აზრის წარმატების ისტორიის საჭიროება. ამ ფრიად ვრცელ და დიდმნიშვნელოვან საგანს ჯერ კიდევ თავისი მომავალი მოელის. მხოლოდ ჩვენი სურვილია ცოტად მაინც შევუმსუბუქოთ შრომა მომავალ ისტორიკოსს და ამ წერილების საშუალებით მივცეთ მას საჭირო მასალა საგნის მიუდგომელ დასაფასებლად. ჩვენ წინდაწინვე ვიცით, რომ ამ ჩვენს წერილებს თავისი ნაკლულევანება ექმნება, ვიცით, რომ სისრულით ვერ შევასრულებთ ჩვენს შრომას და საგანს ვერ შევეხებით სრულის სივრცე-სიგანით. მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სურვილი ძველი თაობის დაფასებისა უნაყოფო არ იქნება, რადგან შეიძ-ლება, მან გამოიწვიოს ჩვენს ლიტ-ერატურაში ლაპარაკი ამ ფრიად საგულისხმიერო საგანზედ“.

ნამდვილი ოქსომერონია, მიუხედავად იმისა, რომ არანაირად ვერ მიუსადაგებ „გონებამახვილურ სისულელეს“, უბრალოდ თავდაჯერებისა და თავმდაბლობის ერთგვარი სინთეზია ჩემი აზრით... აი, დაახლოებით ისეთი, დუმილი რომ რეკავს და მზე რომ ანათებს ღამით ქართულ ცაზე.

კი, კი, პარადოქსის ერთ-ერთი სახე და მოულოდნელობის ეფექტს ქმნის!.

გაგრძელებაც კარგი და საინტერესოა, და მეც ზუსტად იქედან გავაგრძელებ, სადაც შეეჩერდი, მანამდე, ავტორისეული შენიშვნაც მინდა მოვიტანო აქ:

„ეს წერილი, 1901 წელში დაწერილი, არ გვაძლევს სრულ სურათს ილ. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობისა. აქ არ არის აღნიშნული არც „საქართველოს მოამბეს“ დაარსების ხანა, არც უკანასკნელი პერიოდი ჭავჭავაძის მოღვაწეობისა. ხოლო რადგან ის, რაც არის ამ წერილში, ერთგვარ სინათლეს ჰფენს წარსულ საუკუნის ერთ-ერთ საყურადღებო ხანას, ამიტომ ვთავსებ ამ წერილს ჩემს თხზულებათა მეორე წიგნში, სადაც შევაგროვე მასალები ქართველ ინტელიგენციის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიისათვის.“

ქართველ ინტელიგენციის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაზე გამახსენდა, „პუბლიცისტ ილია ჭავჭავაძეს“, მეტად საინტერესო წერილი მოსდევს თხზულებათა მეორე წიგნში და მის წაკითხვასაც გირჩევთ. წერილის სათაურია: „თ.-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკ. (როგორ მოხდა?.., წარსულის გაკვეთილი. დოკუმენტების მიხედვით).

მასზეც ვისაუბროთ, სულ სხვა დროსა და ვითარებაში.

ახლა, „პუბლიცისტი - ილია“ გავაგრძელოთ, დროა.

„ამ წერილში ჩვენ შევეხებით ილია ჭავჭავაძეს, როგორც ეროვნულ პუბლიცისტს. ვეცდებით დავახასიათოთ ამ მწერლის პირველ ხანის გონებრივი ვითარება, ის, თუ რას ემსახურებოდა ჩვენი მწერალი, რასა სცემდა იგი თაყვანსა, რაში იყო იმისი ძალა და რაში – სისუსტე. და რადგან ჩვენში ზნედ შემოვიდა ყველ საზოგადო მოღვაწის ლიბერალად, კონსერვატორად ანუ დემოკრატად მონათვლა, ამისათვის ჩვენც ვეცდებით განვმარტოთ ის, თუ რომელ ბანაკს ეკუთვნის ილია ჭავჭავაძე. ამ განმარტებიდგან გამოაშკარავდება ისიც, თუ რა გონებრივი დამოკიდებულება ჰქონდა ბ-ნ ჭავჭავაძეს მასზე უფროსს და მის თანამედროვე მწერლებთან და ამასთან ერთად გამოაშკარავდება მისი ადგილი ქართულ მწერლობაში. ჩვენს დახასიათებაში არ გამოვუდგებით მისი ნაწერების ქრონოლოგიურ აღნუსხვას, ვეცდებით მხოლოდ მივცეთ პასუხი ორს უმთავრესს კითხვაზედ: რა ნაირი, რა თვისებისა იყო ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოძღვრება? რა მიმართულებას ადგა ის საზოგადოებრივ და ეკონომიურ კითხვების განმარტებაში? ამ ორს კითხვაზედ პასუხის მოცემა გაგვიადვილებს ჩვენის მიზნის სისრულეში მოყვანას, ილია ჭავჭავაძის დახასიათებას, როგორც საზოგადოებრივ მწერლისას.“

და მართლაც „რას ემსახურებოდა ჩვენი მწერალი, რასა სცემდა იგი თაყვანსა, რაში იყო იმისი ძალა და რაში – სისუსტე.“ და ეს ყველაფერი ერთ სტატიაში, გინდაც მცირე იყოს და გინდა დიდი?!

ვერანაირად!

და მაინც, მეტად საინტერესოა ზემოხსენებულ ორ კითხვაზე პასუხის მოსმენა!

ჩემგან ნუ ელით!

თუ დაგაინტერესეთ – უნდა წაიკითხოთ!

მე სულ სხვა საკითხი მაქვს თქვენთან განსახილველი...

ილია ჭავჭავაძის არჩილ ჯორჯაძისეული დახასიათეება მინდა გაგახსენოთ/გაცნობოთ და ამას, დარწმუნებული ვარ უკვე მაგისტრის ქალბატონ მაია დარჩიაშვილის სამაგისტრო ნაშრომიდან (არჩილ ჯორჯაძე XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი) გამცნობთ.

„არჩილ ჯორჯაძე თავდაპირველად ერთგვარად დაპირისპირებული აღმოჩნდა დიდ ილიასთან, განსაკ-უთრებით წმინდა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების განხილვისას, მაგარამ საბოლოოდ დიდმა პუბლიცისტმა სრულად გაიაზრა ილიას დიდი ფიგურა და დარჩა მისი უერთგულესი თაყვანისმცემელი, მისი გზის გამგრძელებელი.“.

სიმართლე გითხრად მეტად თამამი განაცხადია, პირადად მე სულაც არ ვარ დარწმუნებული განაცხადის აბსოლიტურ ჭეშმარიტებაში, თუმცა არც საპირისპიროს თქმა შემიძლია ამჯერად და არც იმ პუბლიცისტურ ნაწარმოებებზე („ზოგიერთი რამ“, „კატკოვის პასუხად“„აი ისტორია“ და ა.შ.) ვიტყვი თუნდაც ორიოდ სიტყვას, რომლებსაც არჩილ-ბატონი შეეხო თავის დაუსრულებულ წერილში.

აი, „მგზავრის წერილებს“ გვერდს რომ ვერ ავუვლით უდაო ფაქტია!

სხვათაშორის „მგზავრის წერილებზე“ საუბარი არჩილ ჯორჯაძემ, მეტად საინტერესო განცხადებით დაიწყო: *„ეროვნულ გრძნობათა გამოსასახავად გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ავტორის „მგზავრის წერილებზე“. მწერლის ნამდვილი ხასიათის გასაგებად ძალიან გვშველის იმისი სულიერ ცხოვრების გაცნობა. საუკეთესო წყაროდ ამ სულიერ ვითარების გასაცნობად თვით მწერლის ნაწერები უნდა ჩაითვლებოდეს, რადგან სხვა, გარეშე პირი, ვერ გამოსახავს ნათლად და მარტივად კაცის საიდუმლო სულის მდგომარეობას“* – წერს არჩილ ჯორჯაზე და აგრძელებს:

 თხზულებანი
არჩილ ჯორჯაძისა
წიგნი პირველი:
ეროვნულ აღორძინების გარეშეთ.
(პოლემიკური წერილები).
ტფილისი
ელექტრო-მბეჭდავი „სორანანი“, მიდამოსის ქუჩ. № 1.
1911

„ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ (1861 წ.) ? ეს ხელოვნური ნახევრად პუბლიცისტური ნაწარმოები? მდიდარი მასალაა ავტორის დაფარულ ვინაობის გასარკვევად, იმის აზრების, გრძნობების და მისწრაფების ასახსნელად. თუმცა ჩვენ ამჟამად არ ვეხებით ავტორის ხელოვნურ ნაწერებს, მაგრამ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ავტორის „წერილებში“ ზოგიერთ ხელოვნურ ადგილებზე, სწორედ იმ ადგილებზე, რომელნიც გვიხატავენ ავტორის საზოგადოებრივ ხასიათს, იმისს მოქალაქობრივ ენერგიას და ბრძოლისუნარს. მაშ ყური დავუგდოთ თვით ავტორს.“

ეჰ, რამდენი ყურდასაგდები აქვს „თვით ავტორს“, ილიას, მაგრამ ვუგდებთ?!

იქნებ ვუგდებთ და მე არაფერი ვიცი ამის შესახებ...

იქნებ დრო მჭირდება ლამის სამოც წელს მიღწეულ კაცს ამისთვის...

არ ვიცი, არ ვიცი და მაინც... ის ვინმემ რას ნიშნავს „ხელოვნური ნახევრად პუბლიცისტური ნაწარმოები“?

იქნებ პუბლიცისტიკის ან თუნდაც პროზის ახალი მიმართულებაა და არც ამის სესახებ ვიცი რამე?!

აი, კიდე ერთი არ ვიციდა მაინც, უნდა გავაგრძელო...

არ გაგიკვირდეთ და ისევ „ხელოვნურით“... (არ დამავიწყდეს ამაზეც გაამახვილა ყურადღება ქალბატონმა მაიამ!

„ამ პატარა ხელოვნურ ნაწყვეტში მკაფიოდ გამოყურება ავტორის სულიერი ვითარება, მისი საზოგადოებრივი ტემპერამენტი, მისი ცხოვრებისადმი სიყვარული. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ევროპელ ქართველთან, რომელსაც უარუყვია, უკუუგდია აღმოსავლეთის უსაქმურება და უმოძრაობა“ (ჯორჯაძე., 1989: 71).“

ეს რა იყო! - გავიფიქრე და ვაგრძელებ. თუმცა, მანამდე, როგორ არ გინდა იკითხო: წაგიკითხავთ („უკუუგდია აღმოსავლეთის უსაქმურება და უმოძრაობა“) სადმე მსგავსი?!

მე, არა!

კიდევ ერთი „შეხვედრის“ გახსენების დროა, თუმცა მანამდე ხსენებული გურულია ანუ „მოსაუნრის“ ანუ ფილიპე მახარაძის გამოხმაურება უნდა მოვიტანო აქ ლამის სრულად და ეს „ლამის სრულად“ წერილის მეორე ნახევარია... პირველ ნაწილში ფილიპე ბატონი ბ. ინ-ანს, ანუ მწერალ ივანე ახალშენიშვილის სტატიას ეხმაურება, თუმცა არა მგონია არც თავად წერილი ან წერილზე გამოხმაურება იყოს ჩვენთვის საინტერესო, ამჯერად, რასაკვირველია.

ასე რომ, მეორე ნაწილი სრულად...

(გაგრძელება იქნება)

გიო კილაძე

დასაწყისი „ალიონი“ № 5-9

სასტუმრო „სემი“ გილოცავთ აღდგომას
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

სამშენებლო მასალების და ტექნიკის მაღაზია
„ლიზი 2“ გილოცავთ დამდეგ აღდგომას

ს\ს „იმედი“ გილოცავთ დამდეგ აღდგომას
და გიწვევთ წინასადღესასწაულო
ბაზრობაზე!

შპს „ვასაძის პური“ გილოცავთ
დამდეგ აღდგომას!

აფთიაქი
„სალბი“
გილოცავთ
აღდგომის
დღესასწაულს!
დაესწარით
მრავალს!

შპს.
„აის +“
გილოცავთ
დამდეგ
აღდგომას,
დაესწარით
მრავალს!

მზე, ღრუბელი +13+20	მზე, ღრუბელი +13+20	წვიმა +11+18	წვიმა +10+15	წვიმა +10+18	ღრუბელი +15+21	წვიმა +14+21
30 აპრილი	1 მაისი	2 მაისი	3 მაისი	4 მაისი	5 მაისი	6 მაისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა